საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 3 „23" ივლისი 2021 წ.

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატის წარდგენის შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ამავე მუხლის ამავე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გენადი მაკარიძის (10 ხმა) კანდიდატურა.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^3$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს წარდგინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ წარდგინების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი